



**ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა**

(სსიპ- დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ქედის N2 საჯარო სკოლა)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ხათუნა ლოდია

წევრები:

- ნინო ცინდელიანი - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
- ინგა ალავერდაშვილი - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
- ნინო მიმინოშვილი - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
- ნინო ბლუაშვილი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
- ლამარა დარახველიძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
- ნონა გამხიტაშვილი - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
- სოფიო ჯგერენაია - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
- ჯულიეტა ტაბეშაძე - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
- ედუარდ ნაკაიძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი
- ნათია კოხომე - ზოგადი განათლების დაწესებულების საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ქედის N2 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	228540433

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფელი ზემო ქედი
ფაქტობრივი მისამართი	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი, სოფელი ზემო ქედი
საფოსტო ინდექსი	1606
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://bit.ly/45uOaEv
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	zemokedi2@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	577243020

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	N1054219 03.09.2024
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2024 წლის 26 და 27 სექტემბერი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური	სახელმწიფო ენა (ქართული)	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი სოფელი ზემო ქედი - ერთი ძირითადი კორპუსი
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხური	სახელმწიფო ენა (ქართული)	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი სოფელი ზემო ქედი - ერთი ძირითადი კორპუსი
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხური	სახელმწიფო ენა (ქართული)	დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტი სოფელი ზემო ქედი - ერთი ძირითადი კორპუსი

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

სსიპ - დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ქედის N2 საჯარო სკოლაში, საავტორიზაციო ვიზიტი კონსტრუქციულად და მშვიდად წარიმართა. ექსპერტებმა განიხილეს სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაცია, შედგა ინტერვიუ სკოლის ადმინისტრაციასთან და პედაგოგებთან. განხორციელდა სკოლის მატერიალური ინფრასტრუქტურის, რესურსების დათვალიერება, თანამშრომელთა პირადი საქმეების და სხვა დოკუმენტაციის შესწავლა, განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში სკოლის პირადი გვერდის დათვალიერება. საგნობრივმა ექსპერტებმა მიიღეს მათთვის საჭირო ინფორმაცია მეორე სტანდარტთან დაკავშირებით.

დაწყებითი საფეხურის ექსპერტმა უზრუნველყო საფეხურზე შემავალი საგნების შეფასების რევიზია. შეისწავლა ქართული ენის, მათემატიკის, ბუნებისმეტყველებისა და მე და საზოგადოების საგნობრივი მიმართულების კურიკულუმები და საჭიროებისამებრ მოითხოვა დამატებითი დოკუმენტაცია. აქტიური კომუნიკაცია ჰქონდა სახელმწიფო ენის, მათემატიკის, ბუნებისმეტყველებისა და საზოგადოებრივი მეცნიერებების ექსპერტებთან, ერთდროულად წარმართეს ინტერვიუების პროცესი, იმოქმედეს შეთანხმებულად.



VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება



	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☒ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება

მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 100	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	აღწერა (იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

- ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა
- ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა
- ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიჩვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ხარვეზი
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	ხარვეზი
ინდიკატორი N		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი	ხარვეზი

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა).¹

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია

¹ გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.



	და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
ინდიკატორი N3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);	სკოლამ, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (01.11.2026), უზრუნველყოს შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვება.
ინდიკატორი N3.4.1.2	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;	სკოლა, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (30.01.2025), უზრუნველყოს ექიმის კაბინეტის შირმით აღჭურვა
ინდიკატორი N3.5.1.4	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს	სკოლამ, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (06.11.2025), უზრუნველყოს სკოლის შენობის სრული ადაპტირება - შენობის მეორე და მესამე სართულებზე შშმ პირების გადაადგილება



სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებით, საბაზო, საშუალო)	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.	სკოლამ, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (01.11.2025), უზრუნველყოს სპორტული დარბაზის/ღია სპორტული მოედნის მოწყობა
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო)	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.	სკოლამ, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (01.11.2025), უზრუნველყოს სპორტული დარბაზის ან ღია სპორტული მოედნის მოწყობა
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საშუალო)	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი N2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.	სკოლამ, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (01.11.2025), უზრუნველყოს სპორტული დარბაზის/ღია სპორტული მოედნის მოწყობა

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
ინდიკატორი N...		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N3.1.2.1	პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 31 აგვისტოს №785 ბრძანების თანახმად, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკას დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს სამეურვეო საბჭო. შესაბამისად, სამეურვეო საბჭოს დამტკიცებულ დოკუმენტი დირექტორის ბრძანებით დამტკიცებას არ საჭიროებს.
ინდიკატორი N3.2.14	სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;	სასურველია, სკოლამ შეიმუშაოს სამუშაო გარემოსთან თანამშრომლების ინტეგრაციის წესი
ინდიკატორი N3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილი ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილი უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ	სკოლაში დასაქმდეს კანონმდებლობის შესაბამისი შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი



	დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);	
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი N....		

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	რჩევა
ინდიკატორი N2.1.1.2.	კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები	ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი სასურველია კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში დაკონკრეტებული იყოს როგორ, რა ფორმით, უზრუნველყოფს სკოლა სასკოლო საზოგადოების ინტერესები გათვალისწინებას.
ინდიკატორი N2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	სახელმწიფო ენა -სასურველია კურიკულუმში აისახოს სწავლების პროცესში პრაქტიკულად განხორციელებული, შესწავლილი გრამატიკული და ლიტერატურათმცოდნეობითი საკითხები. ფიზიკური აღზრდა და სპორტი - სასურველია პედაგოგმა სამომავლოდ, სკოლაში არსებული რესურსიდან გამომდინარე, სახალისო აქტივობები დაგეგმოს და განახორციელოს, რომელიც გაამრავალფეროვნებს სასწავლო პროცესს. მათემატიკა - კურიკულუმებში V-VI კლასებში სასურველია დაემატოს კომპლექსური ტიპის დავალებები, შეუძლიათ გამოიყენონ მათემატიკის ვებსაიტზე math.ge -ზე განთავსებული დავალებებიც. კურიკულუმებში საშუალო საფეხურზე შეუძლიათ დაამატონ მათემატიკის ვებსაიტზე განთავსებული კომპლექსური ტიპის დავალებები https://math.ge/skolis-masala/ . სასურველია ყველა თემის სწავლებისას გამოიყენონ შუალედური მიზნები.



		უცხოური ენები - სასურველია ყველა კურიკულუმს თან ახლდეს ის კონკრეტული სამიზნე ცნებები და წლის ან/და საფეხურის ბოლოს მისაღწევი შედეგები, რომლებიც მიიღწევა კონკრეტული კურიკულუმის ან და თავის ფარგლებში, საათობრივი დატვირთვა, თემის თავები და შესაბამისი გვერდები სახელმძღვანელოებში. ესთეტიკა - სასურველი, დამატებითი და ძირითადი სასწავლო რესურსები შეიტანოთ კათედრის მიერ შემუშავებულ კურსულაშკარის ჩარჩოს შესაბამის გრაფაში, გრიფირებული სახელმძღვანელოს კონკრეტული გვერდების მითითებით.
ინდიკატორი N2.1.2.2.	კურიკულუმში მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	უცხოური ენები - სასურველია კურიკულუმებში თითოეულ თემასთან მითითებული იყოს საათობრივი დატვირთვაც ფიზიკური აღზრდა და სპორტი - სასურველია პედაგოგმა დაგეგმოს სამომავლოდ შუალედური მიზნები, როგორც თეორიული ასევე პრაქტიკული მიმართულებით, რათა შემოქმედებითი პროდუქტი იყოს სახალისო და საინტერესო.
ინდიკატორი N2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	ფიზიკური აღზრდა და სპორტი - პედაგოგს სამომავლოდ შეუძლია არსებული მატერიალური რესურსიდან გამომდინარე დაგეგმოს და განახორციელოს სპორტის სათამაშო სამაგიდო სახეობები.
ინდიკატორი N2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	სახელმწიფო ენა - სასურველია, უფრო მეტი ყურადღება დაეთმოს მოსწავლის ინდივიდუალურ შესაძლებლობებსა და ინტერესებს. აქტიურად გამოვიყენოთ დიფერენცირებული მიდგომები. დიფერენცირების წინაპირობები ზუსტად იქნას გათვალისწინებული და შესაბამისად დაიგეგმოს აქტივობები. უცხოური ენები - სასურველია კურიკულუმების იმ ნაწილში, სადაც კომპლექსური დავალებებია მოცემული, გრაფაში, "მაგალითები შედარებისთვის", მითითებული იყოს არა ერთი ნიმუში, არამედ მინიმუმ ორი, ერთმანეთისგან განსხვავებული ვიზუალურად, შინაარსობრივად ან/და ხარისხობრივად, რათა მოსწავლეებს საშუალება ჰქონდეთ შეადარონ ერთმანეთს ნიმუშები, მოარგონ ისინი მათ საჭიროებებს და უკეთ ჩანდეს დიფერენცირება კურიკულუმებში.



ინდიკატორი N2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	ფიზიკური აღზრდა და სპორტი - სასურველია, სამომავლოდ, შეფასების რუბრიკები შეიმუშაონ კურიკულუმით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო თემის შესაბამისად. მათემატიკა - მოსწავლის შეფასების სისტემა მათემატიკაში შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს, თუმცა წარმოდგენილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები სასურველია სრულად გაშვადდეს ყველა თემისთვის. სასურველია ყველა თემისთვის, მასში შემავალი საკითხებისთვის შეიქმნას შეფასების რუბრიკები და წინასწარ გააცნონ ბავშვებს. მოსწავლემ უნდა იცოდეს შესასწავლი თემის ფარგლებში კონკრეტულად რაში შეაფასებს მასწავლებელი. ასეთი რუბრიკები უნდა გაამზადონ კურიკულუმში შეტანილი ყველა თემისთვის.
ინდიკატორი N2.2.1.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	ესთეტიკა - სასურველია წლიურ კურიკულუმებში ასახული სასწავლო პროცესის შეფასების მიზნით კათედრამ დაამკვიდროს ურთიერთდასწრების პრაქტიკა, ვინაიდან გაკვეთილზე დაკვირვება და ჩატარებული გაკვეთილის რეფლექსია მნიშვნელოვანი ფაქტორია კურიკულუმის განვითარებისთვის, მასში საჭირო ცვლილებების შეტანისთვის.
ინდიკატორი N2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	ესთეტიკა - სასურველია შეფასების კრიტერიუმები არ იყოს მხოლოდ ზოგადი ხასიათის „არამედ მორგებული იყოს კონკრეტულ თემაზე/საკითხზე და მის ფარგლებში დასამუშავებელ სამიზნე ცნებებზე; უცხოური ენები: მიზანშეწონილია გაიწეროს 10 ბალიან სისტემაზე შეფასების კონვერტაციის პრინციპი განმსაზღვრელი შეფასების იმ რუბრიკებისთვის, რომელთა კრიტერიუმების ჯამი სცილდება 10 ქულას. ასევე, იმ რუბრიკებში, სადაც კონკრეტულ კრიტერიუმებს 0-1 ქულობრივი დიაპაზონი აქვთ მინიჭებული, უმჯობესია, იყოს გამიჯნული, რათა ცხადი იყოს მასწავლებლისთვის როდის დაწეროს 0 ქულა და როდის 1 ქულა.
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	რჩევა
ინდიკატორი N2.1.1.2.	კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები	ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი სასურველია კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში დაკონკრეტებული იყოს როგორ, რა ფორმით, უზრუნველყოფს სკოლა სასკოლო საზოგადოების ინტერესები გათვალისწინებას.



ინდიკატორი N2.1.2.1.	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	სახელმწიფო ენა - სასურველია კურიკულუმში აისახოს სწავლების პროცესში პრაქტიკულად განხორციელებული, შესწავლილი გრამატიკული და ლიტერატურათმცოდნეობითი საკითხები. ფიზიკური აღზრდა და სპორტი - სასურველია სკოლაში არსებული რესურსიდან გამომდინარე პედაგოგმა დაგეგმოს და განახორციელოს სახალისო აქტივობები, რომელიც გაამრავალფეროვნებს სასწავლო პროცესს სამომავლოდ. უცხოური ენები - სასურველია ყველა კურიკულუმს თან ახლდეს ის კონკრეტული სამიზნე ცნებები და წლის ან/და საფეხურის ბოლოს მისაღწევი შედეგები, რომლებიც მიიღწევა კონკრეტული კურიკულუმის ან და თავის ფარგლებში. საათობრივი დატვირთვა, თემის თავები და შესაბამისი გვერდები სახელმძღვანელოებში.
ინდიკატორი N2.1.2.2.	კურიკულუმში მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	სახელმწიფო ენა - რადგან სკოლისთვის პირველი ავტორიზაციაა, სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტურად სამომავლოდ განსახორციელებელი აქტივობები. სასურველია, სკოლამ წარმოადგინოს უფრო მკაფიო ხედვა აქტივობათა განხორციელების შესახებ. ფიზიკური აღზრდა და სპორტი - პედაგოგს შეუძლია სამომავლოდ შუალედური მიზნები დაგეგმოს და განახორციელოს, როგორც თეორიული ასევე პრაქტიკული მიმართულებით, რათა შემოქმედებითი პროდუქტი იყოს სახალისო და საინტერესო. მათემატიკა - სასურველია ყველა თემის სწავლებისას გამოიყენონ შუალედური მიზნები და ასახონ კურიკულუმებში. ამჟამად საბაზო საფეხურზე შეტანილი აქვთ 2 კომპლექსური ტიპის დავალება. უცხოური ენები - სასურველია, კურიკულუმებში თითოეულ თემასთან მითითებული იყოს საათობრივი დატვირთვა.
ინდიკატორი N2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	ფიზიკური აღზრდა და სპორტი - პედაგოგს სამომავლოდ შეუძლია არსებული მატერიალური რესურსიდან გამომდინარე დაგეგმოს და განახორციელოს სპორტის სათამაშო სამაგიდო სახეობები.



ინდიკატორი N2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	სახელმწიფო ენა - სასურველია, უფრო მეტი ყურადღება დაეთმოს მოსწავლის ინდივიდუალურ შესაძლებლობებსა და ინტერესებს. აქტიურად გამოვიყენოთ დიფერენცირებული მიდგომები. დიფერენცირების წინაპირობები ზუსტად იქნას გათვალისწინებული და შესაბამისად დაიგეგმოს აქტივობები. უცხოური ენები - სასურველია კურიკულუმების იმ ნაწილში, სადაც კომპლექსური დავალებებია მოცემული, გრაფაში, "მაგალითები შედარებისთვის", მითითებული იქნება არა ერთი ნიმუში, არამედ მინიმუმ ორი, ერთმანეთისგან განსხვავებული ვიზუალურად, შინაარსობრივად ან/და ხარისხობრივად, რათა მოსწავლეებს საშუალება ჰქონდეთ შეადარონ ერთმანეთს ნიმუშები, მთავრად ისინი მათ საჭიროებებს და უკეთ ჩანდეს დიფერენცირება კურიკულუმებში. საზოგადოებრივი მეცნიერებები - სასურველია, უფრო მეტად გამოვიყენოს სკოლამ დიფერენცირებული მიდგომები, რათა გათვალისწინებული იყოს მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების გამოვლენა.
ინდიკატორი N2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	ფიზიკური აღზრდა და სპორტი - სასურველია, სამომავლოდ, შეფასების რუბრიკები შეიმუშაონ კურიკულუმით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო თემის შესაბამისად. ბუნებისმეტყველება - რჩევა: წარმოდგენილ დოკუმენტებში სკოლას აქვს შეფასების რუბრიკები (განმსაზღვრელი, განმავითარებელი). მივეცი რჩევა, რომ 2024-25 სასწავლოს წლის დასაწყისში მოახდინონ შეფასების რუბრიკების კორექტირება კონკრეტული თემების მიხედვით (იქ, სადაც ამის საჭიროებაა), ასევე შეიმუშაონ ექსპერიმენტის და ცდის ოქმები, დაკვირვების დღიურები და კვლევის ანგარიშის ნიმუშები. თვითშეფასების და ურთიერთშეფასების ფორმები.
ინდიკატორი N2.2.1.1	სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად	საზოგადოებრივი მეცნიერებები - სასურველია, გეოგრაფიის (მე-8კლასი) კურიკულუმში, კომპლექსური დავალების რაოდენობა გაიზარდოს, რათა მიღწეულ იქნეს სწავლის შედეგები. სასურველია, გეოგრაფიის მე 9 კლასის კურიკულუმში კომპლექსური დავალების პირობა დაიხვეწოს და გაიზარდოს რაოდენობა.
ინდიკატორი N2.2.1.3	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	მათემატიკა - სასურველია შეფასების რუბრიკები გაკეთდეს ყველა თემისთვის, რასაც საბაზო საფეხურზე ასწავლიან.



		უცხოური ენები - მიზანშეწონილია, გაიწეროს 10 ბალოან სისტემაზე შეფასების კონკრეტაციის პრინციპი განმსაზღვრელი შეფასების იმ რუბრიკებისთვის, რომელთა კრიტერიუმების ჯამი სცილდება 10 ქულას. ასევე, იმ რუბრიკებში სადაც კონკრეტულ კრიტერიუმებს 0-1 ქულობრივი დიაპაზონი აქვთ მინიჭებული, უმჯობესია, იყოს გამიჯნული, რათა ცხადი იყოს მასწავლებლისთვის როდის დაწეროს 0 ქულა და როდის 1 ქულა.
ინდიკატორი N2.2.2.2	სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას	მათემატიკა - სასურველია საბაზო საფეხურზე დაამატონ რესურსები, მათ შორის ონლაინ რესურსები, მაგ: mathigon-დან, Geogebra-დან და ა.შ.
სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	რჩევა
ინდიკატორი N2.1.1.2.	კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები	ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი სასურველია კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში დაკონკრეტებული იყოს როგორ, რა ფორმით, უზრუნველყოფს სკოლა სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინებას.
ინდიკატორი N2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	ფიზიკური აღზრდა და სპორტი სასურველია პედაგოგმა სამომავლოდ შეძლოს სკოლაში არსებული რესურსიდან გამომდინარე სახალისო აქტივობების დაგეგმვა და განხორციელება, რომელიც გაამრავალფეროვნებს სასწავლო პროცესს. სახელმწიფო ენა - სასურველია კურიკულუმში აისახოს სწავლების პროცესში პრაქტიკულად განხორციელებული, შესწავლილი გრამატიკული და ლიტერატურათმცოდნეობითი საკითხები. უცხოური ენები - სასურველია კურიკულუმს თან ახლდეს ის კონკრეტული სამიზნე ცნებები და წლის ან/და საფეხურის ბოლოს მისაღწევი შედეგები, რომლებიც მიიღწევა კონკრეტული კურიკულუმის ან და თავის ფარგლებში, საათობრივი დატვირთვა, თემის თავები და შესაბამისი გვერდები სახელმძღვანელოებში.
ინდიკატორი N2.1.2.2	კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს	უცხოური ენები - სასურველია თუ კურიკულუმებში თითოეულ თემასთან მითითებული იქნება საათობრივი დატვირთვაც. მათემატიკა - კურიკულუმებში საშუალო საფეხურზე, სასურველია დაამატონ მათემატიკის ვებსაიტზე განთავსებული კომპლექსური ტიპის დავალებები



		https://math.ge/skolis-masala/ . სასურველია ყველა თემის სწავლებისას გამოიყენონ შუალედური მიზნები. ფიზიკური აღზრდა და სპორტი - პედაგოგს შეუძლია სამომავლოდ შუალედური მიზნები დაგეგმოს და განახორციელოს, როგორც თეორიული ასევე პრაქტიკული მიმართულებით, რათა შემოქმედებითი პროდუქტი იყოს სახალისო და საინტერესო.
ინდიკატორი N2.1.2.3	კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	ფიზიკური აღზრდა და სპორტი - პედაგოგს სამომავლოდ შეუძლია არსებული მატერიალური რესურსიდან გამომდინარე დაგეგმოს და განახორციელოს სპორტის სათამაშო სამაგიდო სახეობები. მათემატიკა - სასურველია კურიკულუმებში სრულად შეიტანონ სახელმძღვანელოს ავტორები რითაც ასაწავლიან, დაამატონ სხვა ონლაინ რესურსები მაგ: Geogebra-დან, Wolfram.alpha- დან და ა.შ.
ინდიკატორი N2.1.2.4	სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს	უცხოური ენები - სასურველია კურიკულუმების იმ ნაწილში, სადაც კომპლექსური დავალებებია მოცემული, გრაფაში, "მაგალითები შედარებისთვის", მითითებული იქნება არა ერთი ნიმუში, არამედ მინიმუმ ორი, ერთმანეთისგან განსხვავებული ვიზუალურად, შინაარსობრივად ან/და ხარისხობრივად, რათა მოსწავლეებს საშუალება ჰქონდეთ შეადარონ ერთმანეთს ნიმუშები, მოარგონ ისინი მათ საჭიროებებს და უკეთ ჩანდეს დიფერენცირება კურიკულუმებში. საზოგადოებრივი მეცნიერებები - სასურველია, უფრო მეტად გამოიყენოს სკოლამ დიფერენცირებული მიდგომები, რათა გათვალისწინებული იყოს მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობების გამოვლენა. სახელმწიფო ენა - სასურველია, უფრო მეტი ყურადღება დაეთმოს მოსწავლის ინდივიდუალურ შესაძლებლობებსა და ინტერესებს. აქტიურად გამოვიყენოთ დიფერენცირებული და საჭიროების შემთხვევაში ინკლუზიური მიდგომები. დიფერენცირების წინაპირობები ზუსტად იქნას გათვალისწინებული და შესაბამისად დაიგეგმოს აქტივობები.
ინდიკატორი N2.1.2.5	მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს.	ბუნებისმეტყველება - რჩევა: წარმოდგენილ დოკუმენტებში სკოლას აქვს შეფასების რუბრიკები (განმსაზღვრელი, განმავითარებელი). მივეცი რჩევა, რომ 2024-25 სასწავლოს წლის დასაწყისში მოახდინონ შეფასების რუბრიკების კორექტირება კონკრეტული თემების მიხედვით (იქ, სადაც ამის საჭიროებაა),



		ასევე შეიმუშაონ ექსპერიმენტის და ცდის ოქმები, დაკვირვების დღიურები და კვლევის ანგარიშის ნიმუშები. თვითშეფასების და ურთიერთშეფასების ფორმები. ფიზიკური აღრზდა და სპორტი - სასურველია, სამომავლოდ, შეფასების რუბრიკები შეიმუშაონ კურიკულუმით გათვალისწინებული თითოეული სასწავლო თემის შესაბამისად. მათემატიკა - მოსწავლის შეფასების სისტემა მათემატიკაში შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს, თუმცა არის ზოგადი. უმჯობესია ყველა თემისთვის, მასში შემავალი საკითხებისთვის შეიქმნას შეფასების რუბრიკები და წინასწარ გააცნონ ბავშვებს. მოსწავლემ უნდა იცოდეს შესასწავლი თემის ფარგლებში კონკრეტულად რაში შეაფასებს მასწავლებელი. ასეთი რუბრიკები უნდა გაამზადონ კურიკულუმში შეტანილი ყველა თემისთვის.
ინდიკატორი N2.2.13	შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი	ესთეტიკა - სასურველია შეფასების აღმწერი კრიტერიუმებში მეტი სიცხადით აისახოს კონკრეტული თემის/საკითხის შესაფასებელი შედეგები. რაც გულისხმობს რამდენად მიზნობრივად სწორად ვაფასებთ მოცემულ შედეგს. უცხოური ენები - მიზანშეწონილია, გაიწეროს 10 ბალიან სისტემაზე შეფასების კონვერტაციის პრინციპი განმსაზღვრელი შეფასების იმ რუბრიკებისთვის, რომელთა კრიტერიუმების ჯამი სცილდება 10 ქულას. ასევე, იმ რუბრიკებში სადაც კონკრეტულ კრიტერიუმებს 0-1 ქულობრივი დიაპაზონი აქვთ მინიჭებული, უმჯობესია, იყოს გამიჯნული, რათა ცხადი იყოს მასწავლებლისთვის როდის დაწეროს 0 ქულა და როდის 1 ქულა.

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

სკოლამ სრულად გაიზიარა ექსპერტების დასკვნის პროექტში ასახული ფაქტობრივი გარემოებები. დაწესებულებამ, არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, სადაც ინდიკატორების მიხედვით გაიწერა შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობები, განხორციელების ვადები, საჭირო რესურსები და ა.შ.

აღსანიშნავია, რომ:

N3.4.1.2 და N3.5.1.4 ინდიკატორები, რომელიც სკოლის არგუმენტირებულ პოზიციამდე შეფასებული იყო როგორც „არ შეესაბამება“, ექსპერტების მხრიდან შეფასდა როგორც „მეტწილად შესაბამისი“, ვინაიდან, სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგინდა, რომ დაწესებულება უზრუნველყოფს ცვლილებებს შესაბამისობის გეგმაში მითითებული ვადების (არაუმეტეს 12 თვე) მიხედვით;

N1.2.1.2, N1.2.1.3, N1.2.1.4, N3.1.2.3, N3.5.1.3 N3.6.3.5, N2.2.1.3 (დაწყებითი საფეხური), N2.1.2.1, N2.1.2.2, N2.2.1.1, N2.2.1.3 (საბაზო საფეხური), N2.1.2.2, N2.2.1.3 (საშუალო საფეხური) ინდიკატორები, შესაბამისობის გეგმის და სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების საფუძველზე, უკვე შესრულებული იყო და ექსპერტების მხრიდან შეფასდა როგორც „შესაბამისი“.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. სკოლის მისიის თანახმად, სკოლა ორიენტირებულია დაამკვიდროს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება. ხელი შეუწყოს მის გონებრივ და ფიზიკურ განვითარებას. შესძინოს მას თვითრეალიზაციისთვის საჭირო ცოდნა და აუმაღლოს დემოკრატიული ღირებულებები. მოამზადოს აქტიური და მოქალაქეობრივი პოზიციის მქონე მოსწავლე, ასწავლოს ბუნებრივი გარემო-პირობების შენარჩუნება და დაცვა. ხედვის თანახმად, სკოლა მიზნად ისახავს, სასკოლო საზოგადოების კონსტრუქციული თანამშრომლობითა და პასუხისმგებლობის განაწილების გზით, ხელი შეუწყოს თითოეული მოზარდის წარმატებას. აღჭურვოს მოსწავლე დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის საჭირო უნარ-ჩვევებითა და სოციალურად სწორი ორიენტაციით. ჩამოაყალიბოს ბუნებრივი გარემოს დამცველ პიროვნებად.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლის ადგილმდებარეობიდან გამომდინარე, აქტუალურია ეკოლოგიური პრობლემები. შესამისად, სკოლა თავისი ფილოსოფიით, ორიენტირებულია გარემოს დაცვის მიმართულებით ცნობიერების ამაღლებაზე, რაც ბუნებრივ და სოციალურ გარემოში მოსწავლეების თვითდამკვიდრებისთვის მზაობის დონის ამაღლებას უწყობს ხელს. მისიის თანახმად, სკოლა ორიენტირებულია დაამკვიდროს მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლება. ხელი შეუწყოს მის გონებრივ და ფიზიკურ განვითარებას. შესძინოს მას თვითრეალიზაციისთვის საჭირო ცოდნა და აუმაღლოს დემოკრატიული ღირებულებები. მოამზადოს აქტიური და მოქალაქეობრივი პოზიციის მქონე მოსწავლე, ასწავლოს ბუნებრივი გარემო-პირობების შენარჩუნება და დაცვა. ხედვის თანახმად, სკოლა მიზნად ისახავს, სასკოლო საზოგადოების კონსტრუქციული თანამშრომლობითა და პასუხისმგებლობის განაწილების გზით ხელი შეუწყოს თითოეული მოზარდის წარმატებას. აღჭურვოს მოსწავლე დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის საჭირო უნარ-ჩვევებითა და სოციალურად სწორი ორიენტაციით, ჩამოაყალიბოს ბუნებრივი გარემოს დამცველ პიროვნებად. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშევებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით. სკოლაში დირექტორის 2024 წლის 03 ივლისის N2-15 ბრძანების საფუძველზე, შეიქმნა დროებითი სამუშაო ჯგუფი, რომლის მიზანი იყო მისიისა და ხედვის განაცხადის შემუშავება, ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდა სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლები - დირექტორის მოადგილე, მასწავლებლები, მშობელი და მოსწავლე. სკოლამ წარმოადგინა სამუშაო ჯგუფის სდომის ოქმი.

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები, როგორც სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილი, განიხილა სამეურვეო საბჭომ და დაამტკიცა პედაგოგიურმა საბჭომ.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ - სკოლის ფილოსოფიის შემუშავებაში ჩართული იყო სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლები: დირექციის წარმომადგენელი, მასწავლებლები, მშობელი და მოსწავლე. სკოლის ფილოსოფია წარმოდგენილია სასკოლო სასწავლო გეგმით. სასკოლო სასწავლო გეგმა გაზიარებულია მშობლებისთვის მშობელთა კრებებზე და მოსწავლეებისთვის სადამრიგებლო საათის ფარგლებში. სკოლის მიერ უზრუნველყოფილია სასკოლო სასწავლო გეგმის ხელმისაწვდომობა და საჯაროობა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები სკოლის შენობაში განთავსებულია საჯარო ინფორმაციისთვის განკუთვნილ დაფაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2024-2025 სასკოლო სასწავლო გეგმა
- ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია.
- დირექტორის 2024 წლის 03 ივლისის N2-15 ბრძანება
- სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი
- პედაგოგიური საბჭოს 2024 წლის 02 სექტემბრის N5 ოქმი
- პედაგოგიური საბჭოს 2024 წლის 04 სექტემბრის N6 ოქმი
- სამეურვეო საბჭოს 2024 წლის 03 სექტემბრის სხდომის N04 ოქმი

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის დირექტორის 2024 წლის 04 ივნისის N2-16 ბრძანებით, დამტკიცებულია ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, სკოლა სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში მაქსიმალურად გაითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების წევრთა მოლოდინს, რისთვისაც, სტრატეგიული დაგეგმვის ყოველი ახალი ციკლის დასაწყისში, სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში, შემუშავებული დოკუმენტების მათთვის გაზიარებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლამ წარმოადგინა სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა, რომელიც დაამტკიცა სკოლის სამურვეო საბჭომ 2024 წლის 03 სექტემბრის სხდომაზე (ოქმი N5). სტრატეგიული გეგმა ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს. მასში გაწერილია ხუთი სტრატეგიული მიზანი: სწავლა-სწავლება, ადამიანური რესურსები, ინკლუზიური განათლება, უსაფრთხო გარემო, მატერიალური ტექნიკური ბაზის განვითარება.

როგორც აღნიშნეთ სკოლაში შემუშავებული და დამტკიცებულია ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომლის თანახმად, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავება მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

- ა) სკოლის სტრატეგიულ დაგეგმვასთან დაკავშირებით, სასკოლო საზოგადოების გამოკითხვა და კვლევის შედეგების გათვალისწინებით, სამუშაო ჯგუფის მიერ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის პროექტის შემუშავება და სკოლის დირექტორისათვის წარდგენა;
- ბ) დირექტორის მიერ პედაგოგიურ საბჭოზე წარდგენა და განხილვა;

- გ) მიღებული უკუკავშირის გათვალისწინებით სკოლის დირექტორის მიერ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების პროექტების საბოლოო სახით ფორმირება და სკოლის სამეურვეო საბჭოსათვის წარდგენა;
- დ) სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების დამტკიცება

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმის შემუშავების და დამტკიცების პროცესში, დაცულია მეთოდოლოგიით გათვალისწინებული მხოლოდ ბოლო ეტაპი - სკოლის სამეურვეო საბჭოს მიერ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების დამტკიცება. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით ჩანს, რომ სამუშაო ჯგუფი შექმნილი იყო მხოლოდ სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების მიზნით. შესაბამისად - სკოლას არ წარმოადგენილია სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი, რომელიც დაადასტურებდა სამუშაო ჯგუფის მიერ გეგმის შემუშავებაზე მუშაობის პროცესს; არ იკვეთება, რომ გეგმა შემუშავებულია სამუშაო ჯგუფის მიერ გამოკითხვისა და კვლევის შედეგების გათვალისწინებით. სკოლამ არ წარმოადგინა პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი, რომელიც დაადასტურებდა, რომ პედაგოგურმა საბჭომ განიხილა სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.

შესაბამისობის გეგმასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა მტკიცებულებები (სამუშაო ჯგუფის სხდომის ოქმი, პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი, სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი) რომელიც ადასტურებს, რომ ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლამ წარმოადგინა ერთწლიანი სამოქმედო გეგმა, რომელიც ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას. თუმცა, ისევე როგორც სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა, ერთწლიანი სამოქმედო გეგმაც არ არის შემუშავებული სკოლის მიერ დამტკიცებული მეთოდოლოგიის შესაბამისად. არ იკვეთება, რომ გეგმა შემუშავებულია ანალიზისა და თვითშეფასების საფუძველზე.

შესაბამისობის გეგმასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა მტკიცებულებები (სამუშაო ჯგუფის სხდომის, ოქმი, პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი, სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი) რომელიც ადასტურებს, რომ ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები. არ არის განსაზღვრული შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

შესაბამისობის გეგმასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა მტკიცებულებები (სამოქმედო გეგმა) რომელიც ადასტურებს, რომ ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია
- სამურვეო საბჭოს 2024 წლის 03 სექტემბრის სხდომის ოქმი N5
- პედაგოგიური საბჭოს 2024 წლის 02 სექტემბრის სხდომის ოქმი N5

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის დირექტორის 2024 წლის 04 ივნისის N2-16 ბრძანებით, დამტკიცებულია ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, სტრატეგიის შესრულების მონიტორინგი ხორციელდება დაკვირვებით და შეფასებით, რამდენად არის მიღწეული დაგეგმილი მიზნები და რამდენად ეფექტური იყო მიზნების მიღწევის დასახული გზები. ყოველი 3 წლის ბოლოს და ასევე 7 წლის შესრულებისთანავე (ახალი სტრატეგიული გეგმის დამტკიცებამდე),

სამეურვეო საბჭოს სხდომაზე განიხილება სტრატეგიული გეგმის შესრულების ანგარიშები. შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის შესრულების ანგარიში ხორციელდება ყოველ 3 (სამ) წელიწადში (შესაბამისი პერიოდის) და 7 (შვიდი) წლის გასვლის შემდეგ (შემაჯამებელი) ახალი სტრატეგიული გეგმის შემუშავებამდე. ერთწლიანი სამოქმედო გეგმის მონიტორინგი ხორციელდება სასწავლო წლის განმავლობაში პერიოდულად, სასწავლო წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები წარმოადგენენ წერილობით ანგარიშს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლის პირველადი ავტორიზაციაა და მიმდინარე ეტაპზე აღნიშნული ინდიკატორი არ ფასდება

3. სკოლის პირველადი ავტორიზაციაა და მიმდინარე ეტაპზე აღნიშნული ინდიკატორი არ ფასდება

4. სკოლის პირველადი ავტორიზაციაა და მიმდინარე ეტაპზე აღნიშნული ინდიკატორი არ ფასდება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში ფუნქციონირებს შემდეგი სტრუქტურული ერთეულები: დირექცია, სამეურვეო საბჭო, პედაგოგიური საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მოსწავლეთა თვითმმართველობა. სკოლის დირექტორის 2024 წლის 23 სექტემბრის N2-62 ბრძანების საფუძველზე, განსაზღვრულია სტრუქტურული ერთეულების ფუნქციები და საქმიანობის წესი. დირექტორის 2024 წლის 06 ივნისის N2-22 ბრძანებით, დამტკიცებულია სკოლის თანამშრომელთა თანამდებობრივი ინსტრუქციები. სკოლამ წარმოადგინა სკოლის სტრუქტურა გრაფიკული სახით, ანგარიშვალდებულების პრინციპი ორგანიზაციის შიგნით. დასაქმებულ პირთა უფლება-მოვალეობები მკაფიოდაა განსაზღვრული შრომითი ხელშეკრულებებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლამ წარმოადგინა საშტატო განრიგი და განრიგით გათვალისწინებული თანამდებობების შესაბამისი სამუშაო აღწერილობები, სადაც მკაფიოდაა აღწერილი დასაქმებული პირების ფუნქციები. დასაქმებულები აცნობიერებენ საკუთარ სამსახურეობრივ პასუხისმგებლობას, ანგარიშვალდებულების სისტემა საშუალებას აძლევს დირექციას მიიღოს ინფორმაცია პერსონალის საქმიანობაზე და უზრუნველყოს პროცესების მართვა. პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დირექტორის 2024 წლის 06 ივნისის N2-22 ბრძანება
- საშტატო განრიგი
- დირექტორის 2024 წლის 23 სექტემბრის N2-62 ბრძანება

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სამეურნოს საბჭოს 2024 წლის 09 იანვრის N1 ოქმის საფუძველზე არის დამტკიცებული ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა. აღნიშნული დოკუმენტი ასევე დამტკიცებულია დირექტორის 2024 წლის 06 ივნისის N2-20 ბრძანებით. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, ადამიანური რესურსების განვითარება და მართვა ხორციელდება სამუშაოს შესრულებაზე ორიენტირებული კადრების მოზიდვისა და შერჩევის აქტიური პროცესის განხორციელებით; საჭიროების

შემთხვევაში, ხანგრძლივი და რელევანტური ტრენინგებისა და მართვის განვითარების აქტივობების დაგეგმვით; მოტივაციის გაზრდის მიზნით, სახელფასო სისტემის რეგულარული დახვეწის გზით; ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობების გაღრმავებით; დასაქმებულთათვის საჭირო ინფორმაციის დროულად მიწოდებით; პოზიციების შესაბამისი პროფესიული განვითარების კონცეფციის შემუშავებით: ტრენინგი, სწავლება, მონიტორინგი და ინდივიდუალური განვითარების გეგმა; იმგვარი გარემოს შექმნით, სადაც შესაძლებელია დიალოგი და კომუნიკაცია დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის. ხორციელდება ისეთი ღონისძიებები, რომლებიც ემსახურება თანამშრომელთა გუნდური მუშაობის და მათ შორის არაფორმალური ურთიერთობების განვითარებას.

სკოლის შინაგანაწესით განისაზღვრება სამუშაოს დაწყებისა და დასრულების დრო, დასვენების ხანგრძლივობა, შვებულების მიცემის წესი, სასწავლო პროცესის რეგულაციები. სკოლის შინაგანაწესი საჯაროა და გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას.

შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრულია დამსაქმებლის და დასაქმებულის პასუხისმგებლობები და მოვალეობები. სკოლის შინაგანაწესი ხელშეკრულების შემადგენელი და განუყოფელი ნაწილია. ხელშეკრულების ხელმოწერით, დასაქმებული ადასტურებს შინაგანაწესის გაცნობის ფაქტს.

სკოლას მიეცა რჩევა:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 31 აგვისტოს №785 ბრძანების თანახმად, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკას დირექტორის წარდგინებით ამტკიცებს სამეურვეო საბჭო. შესაბამისად, სამეურვეო საბჭოს დამტკიცებულ დოკუმენტი დირექტორის ბრძნებით დამტკიცებას არ საჭიროებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სკოლა თანამშრომელთა საჭიროებების გამოვლენას ახორციელებს ანალიზის საფუძველზე, რომელშიც ეხმარება შემდეგი სახის შეკითხვები:

- რა ძლიერი და სუსტი მხარეები აქვთ თანამშრომლებს?
- რა შესაძლებლობები და საფრთხეები არსებობს, რომლებმაც შესაძლოა, ზეგავლენა მოახდინოს თანამშრომლების საქმიანობაზე?

საჭიროებების მიხედვით ხდება სკოლის ახალი კადრებით უზრუნველყოფა, წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან ჩანს, რომ სკოლა საჭიროების მიხედვით აცხადებს კონკურს კადრების შერჩევის მიზნით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით ჩანს, რომ სკოლაში კადრების შერჩევა ხდება ობიექტურობის პრინციპის დაცვით. სკოლის დირექტორის ბრძანებით, ცხადდება კონკურსი და ქვეყნდება შესაბამის გვერდზე. განისაზღვრება საკვალიფიკაციო მოთხოვნები და კონკურსის ეტაპები, ვადები. კანონმდებლობის შესაბამისად, იქმნება საკონკურსო კომისია, რომელიც კონკურსით დადგენილი ვადის გასვლის შემდეგ, იღებს გადაწყვეტილებას ხმათა უმრავლესობით.

სკოლის თანამშრომლეთა პირად საქმეებში სრულყოფილად არ არის წარმოდგენილი ზოგადი განათლების შესახებ კანონითა და მთავრობის N463 დადგენილების შესაბამისი ცნობები.

შესაბამისობის გეგმასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა მტკიცებულებები (სკოლაში დასაქმებულ პირთა კანონმდებლობით გათვალისწინებული ცნობები) რომელიც ადასტურებს, რომ ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლის დირექტორის 2024 წლის 16 სექტემბრის N2-51 ბრძანებით დამტკიცებულია სკოლის თანამშრომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები. სკოლაში დასაქმებულ პირთა კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით ჩანს, რომ გადაწყვეტილებები სკოლაში მიიღება სტრუქტურული ერთეულების ჩართულობით. სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია უზრუნველყოფს სკოლის სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების და კურიკულუმების შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოების ჩართულობას. სკოლაში არის კოლეგიური სტრუქტურული ერთეული

პედაგოგიური საბჭო, საგნობრივი კათედრები, რომელთა მიერ გადაწყვეტილებები მიიღება ხმათა უმრავლესობით. 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულია სკოლის მართველობაში დემოკრატიული კულტურის დამკვიდრების მიმართულებით აქტივობები, რაზეც პასუხისმგებლობა ეკისრება სკოლის დირექტორს, დირექტორის მოადგილეს, სამეურველო საბჭოს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. სკოლის დირექტორის 2024 წლის 17 ივნისის N2-30 ბრძანებით, განსაზღვრულია სკოლის თანამშრომლეთა წახალისების - პრემიების ძირითადი პრინციპები.

სკოლის შინაგანაწესის მე-10 მუხლის შესაბამისად, სკოლაში მოქმედებს წარმატებული გამოცდილების აღიარების მექანიზმი. პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისთვის ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისთვის ან/და დიდი მოცულობის, განსაკუთრებული სირთულის ან/და მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისთვის, სკოლა დასაქმებულთა მიმართ გამოიყენებს წახალისების ფორმებს:

- ა) მაღლობის გამოცხადება;
- ბ) სიგელით დაჯილდოება;
- გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;
- დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა;
- ე) დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა.

2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმით, განსაზღვრულია საგნობრივი კათედრების მუშაობის ძირითადი პრინციპები, რომლის თანახმად, კათედრის ფუნქციაა კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დირექტორის 2024 წლის 06 ივნისის N2-20 ბრძანება
- დირექტორის 2024 წლის 17 ივნისის N2-30 ბრძანება
- შინაგანაწესი
- 2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
- სამეურვეო საბჭოს 2024 წლის 09 იანვრის სხდომის N1 ოქმი

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას, სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით, შემუშავებული აქვს ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა, რომელიც ითვალისწინებს სკოლაში დასაქმებულთა პროფესიულ განვითარებასა და კარიერულ წინსვლაზე ზრუნვას, ამ მხრივ ძირითადი საჭიროებების განსაზღვრას და შესაბამისი ღონისძიებების განხორციელებას, სკოლაში შეფასების სისტემის დანერგვას. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, სკოლა თანამშრომელთა საჭიროებების გამოვლენას ახორციელებს ანალიზის საფუძველზე, რომელშიც ეხმარება შემდეგი სახის შეკითხვები:

- რა ძლიერი და სუსტი მხარეები აქვთ თანამშრომლებს?
- რა შესაძლებლობები და საფრთხეები არსებობს, რომლებმაც შესაძლოა, ზეგავლენა მოახდინონ თანამშრომლების საქმიანობაზე?

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლის პირველადი ავტორიზაციაა და მიმდინარე ეტაპზე აღნიშნული ინდიკატორი არ ფასდება

3. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის თანახმად, პროფესიული განვითარება ადამიანური რესურსების მართვის სიტემის მნიშვნელოვანი კომპონენტია, რომელიც მიზნად ისახავს თანამშრომლის პროფესიული ცოდნისა და უნარების გაღრმავებას და გაუმჯობესებას, პროფესიული განვითარების მოთხოვნის იდენტიფიცირებას სამუშაოს კატეგორიის, ცალკეული ფუნქციის, თანამდებობრივი მოთხოვნებისა და ინდივიდუალური საჭიროების ანალიზის საფუძველზე.

სკოლა უზრუნველყოფს მასწავლებელთა მონაწილეობას სხვადასხვა პროგრამებსა და პროექტებში, საგანმანათლებლო ღონისძიებებში, ტრენინგებსა და სამუშაო შეხვედრებში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლის დირექტორმა, ინტერვიუს დროს აღნიშნა, რომ ხდება ახალი თანამშრომლის წარდგენა სკოლაში, აცნობებენ სკოლის შინაგანაწესს, სამუშაო გარემოს, დაგეგმილი პროექტების თაობაზე ინფორმაციას, სკოლის ყველა თანამშრომელს აქვს ახალი თანამშრომლისთვის მხარდაჭერის მზაობა.

უზრუნველყოფილია წვდომა მატერიალურ რესურსებზე.

სკოლას მიეცა რჩევა:

სასურველია, სკოლამ შეიმუშაოს სამუშაო გარემოსთან თანამშრომლების ინტეგრაციის წესი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. სკოლის დირექტორის განცხადებით, სკოლაში წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. ბოლო წლების განმავლობაში, საჭიროების შესაბამისად, ტრენინგი გაიარა სკოლის ბუღალტერმა, მასწავლებლებმა. სკოლა ხელს უწყობს პედაგოგთა საქმიანობას არაფორმალური განათლების მიმართულებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დირექტორის 2024 წლის 06 ივნისის N2-20 ბრძანება

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის დირექტორის 2024 წლის 06 ივნისის N2-21 ბრძანების საფუძველზე, სკოლაში დამტკიცებულია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი; ხარისხის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირად განსაზღვრულია დირექტორის მოადგილე. სკოლაში პროცესები აღწერილია დოკუმენტურად. პროცესზე პასუხისმგებელი პირი ვალდებულია დაეყრდნოს პროცესის დოკუმენტს. დირექტორის მოადგილე შეფასებას ახორციელებს პროცესის დოკუმენტზე დაყრდნობით და გასცემს შესაბამის რეკომენდაციებს.

ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი გულისხმობს რისკების შეფასებას, შემოწმებას, დასკვნას და უკუკავშირს, რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგს.

ამავე დოკუმენტში აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლის დირექტორის 2024 წლის 06 ივნისის ბრძანების საფუძველზე, სკოლაში დამტკიცებულია ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი. აღნიშნულ დოკუმენტში გაწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები. შემუშავებულია საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესების მარეგულირებელი

დოკუმენტები. სკოლამ წარმოადგინა სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია, სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმა. ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, მოქმედ შინაგანაწესში გაწერილია სასწავლო პროცესის მარეგულირებელი მექანიზმები. შესაბამისი აქტივობები (მოსწავლეთა სკოლაში დასწრების მონიტორინგის სისტემის შექმნა; მშობელთა ჩართვა სასკოლო აქტივობებში, სასწავლო პროცესის მონიტორინგის განხორციელება, მოსწავლეთა მიღწევების დინამიკის შესწავლა და თანმდევი დამატებითი სამუშაოების განხორციელება და სხვა) გაწერილია სამოქმედო გეგმაში. სკოლას შემუშავებული აქვს საქმისწარმოების წესი, ბიბლიოთეკის დებულება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლის შინაგანაწესში გაწერილია მოსწავლის/მასწავლებლის დისციპლინური გადაცდომისა და სახდელის სახეები, სკოლის შინაგანაწესით რეგულირდება მშობლისა და მოსწავლეების უფლებები და ვალდებულებები. შინაგანაწესის თანახმად, სკოლაში შემოსული განცხადება/საჩივარი რეგისტრაციაში უნდა გატარდეს და მათზე რეაგირება უნდა განხორციელდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით. დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებები მოიცავს გასაჩივრების პუნქტს. სკოლაში მშობლების, მოსწავლეებისა და მასწავლებლებისგან დაკომპლექტებულია დისციპლინური კომიტეტი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლაში პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვა რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით. თითოეული კლასის დამრიგებელი სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში მოსწავლეებს აცნობს თავიანთ უფლება-მოვალეობებს. სკოლის დერეფნებში გამოკრულია 112-ის, მანდატურის, სახალხო დამცველის და განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ცხელი ხაზის ნომრები. სკოლის ყველა მოსწავლის მშობელს/წარმომადგენელს შორის ფორმდება ხელშეკრულებები. საჭიროების შემთხვევაში იგეგმება მშობლებთან ინდივიდუალური შეხვედრები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დირექტორის 2024 წლის 06 ივნისის N2-21 ბრძანება
- ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია.
- სტრატეგიული განვითარების შიდწლიანი გეგმა
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- სკოლის შინაგანაწესი
- დამრიგებლის პორტფოლიო

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის სამოქმედო გეგმაში გაწერილია აქტივობები სკოლასა და მშობელს შორის ორმხრივი კომუნიკაციის მიმართულებით, სკოლას აქვს გვერდი სოციალურ ქსელში, სადაც განათავსებულია სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ სიახლეები.

სკოლის შინაგანაწესი და სასკოლო სასწავლო გეგმა საჯაროა, განთავსებულია საჯარო ინფორმაციისთვის განკუთვნილ დაფაზე. დამრიგებლები უზრუნველყოფენ შინაგანაწესის გაცნობას მოსწავლეებისთვის და მშობლებისთვის.

სკოლამ წარმოადგინა:

- მშობელთა კრების ოქმი, რომლითაც დასტურდება, რომ V კლასში მეორე უცხო ენის არჩევა ხდება მშობელთა სურვილის გათვალისწინებით;
- ოქმები, რომლითაც დასტურდება, რომ საშუალო საფეხურზე არჩევითი საგნის არჩევა, ხდება მოსწავლეთა სურვილის გათვალისწინებით;

- გამოკითხვის ინსტრუმენტები (კითახვარები) მოსწავლეებისა და მშობლებისთვის მოსწავლეების მიერ კომპიუტერული ტექნიკის გამოყენების თაობაზე

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულია დირექტორის, დირექტორის მოადგილის, დამრიგებლის და სამეურველო საბჭოს პასუხისმგებლობა სასკოლო ცხოვრებაში მშობელთა ჩართვის უზრუნველყოფის მიმართულებით, სკოლაში ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, რომლებიც შედგება თანაბარი რაოდენობის მშობლებისა და პედაგოგებისგან, მოსწავლეთა თვითმმართველობას ჰყავს საკუთარი წარმომადგენელი სამეურვეო საბჭოში, სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო, რომელშიც სხვა წევრებთან ერთად წარმოდგენილია მოსწავლე, რაც უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ჩართვას სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმა
- სკოლის ვიზუალური დათვალიერება
- სკოლის გვერდი სოციალური ქსელში
- სკოლის ვებ გვერდი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში);
2. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას;
3. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
4. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
5. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
6. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
7. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
8. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის შინაგანაწესის თანახმად, სკოლა ვალდებულია შექმნას შრომის ჯანსაღი და უსაფრთხო გარემო-პირობები. შეასრულოს შრომის უსაფრთხოების დაცვის წესები. სკოლა უზრუნველყოფილია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარით, გამოკრულია საევაკუაციო გეგმა. სკოლის სამოქმედო გეგმით გათვალისწინებულია აქტივობები უსაფრთხო და ორგანიზებული გარემოს უზრუნველყოფის მიზნით. სკოლის ტერიტორიის დაცვას უზრუნველყოფს სკოლის დარაჯი. სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას უსაფრთხოებას უზრუნველყოფს მორიგე მასწავლებელი და უსაფრთხოებაზე

პასუხისმგებელი უფლებამოსილი, გადამზადებული პირი. საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების ხელშეწყობის ქვეპროგრამის ფარგლებში, სკოლაში დასაქმებულია კარისკაცი

სკოლა აღჭურვილია შიდა და გარე პერიმეტრის ვიდეო-სამეთვალყურეო კამერებით.

სკოლამ წარმოადგინა სახანძრო უსაფრთხოების ზედამხედველობის სახანძრო-ტექნიკური შემოწმების და გამოკვლევის აქტი, რომელიც თარიღდება 2022 წლის 02 მარტით. აქტის თანახმად, სკოლას დაეკისრა რიგი ღონისძიებების განხორციელება სახანძრო უსაფრთხოების მიმართულებით. სკოლამ, ფინასური შესაძლებლობების ფარგლებში, გაითვალისწინა რეკომენდაციები და განახორციელა შემდეგი ღონისძიებები:

- მოეწყო სხვენში ასავლელი კიბე.
- დაიმუხტა ხანძრის ჩაქრობის პირველადი საშუალებები
- შენობაში განთავსებულია განახლებული საევაკუაციო გეგმა
- განსაზღვრულია სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნების დაცვაზე პასუხისმგებელი პირი.
- საქვაბე გაიწმინდა ზედმეტი ინვენტარისგან.
- სკოლას შემუშავებული აქვს სახანძრო-საგანგაშო სისტემის პროექტი, რომლის განხორციელებისთვის მიმდინარე ეტაპზე თანხა არ აქვს.

სკოლას შემუშავებული აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც შეთანხმებულია უფლებამოსილ ორგანოსთან.

ამ ეტაპზე სკოლას არ აქვს შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა. წერილობით მიმართეს სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს, შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მიღების თაობაზე.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად უზურნველყოფს შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვებას (01.11.2026).

რეკომენდაცია: შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადაში უზურნველყოფს უზურნველყოფს შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნის მოპოვება (01.11.2026).

სკოლას მიეცა რჩევა:

სკოლაში დასაქმდეს კანონმდებლობის შესაბამისი შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია ნაწილობრივ

2. სკოლაში 2024 წლის 01 იანვრიდან დასაქმებულია ექიმი. მასთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების თანახმად, ექიმი ვალდებულია მოახდინოს ბავშვებსა და მოზარდებში სიმპტომების გამოვლენა, რომელიც მოითხოვს პირველად და გადაუდებელ სამედიცინო დახმარებას, შესაბამის პირებს გაუწიოს პირველადი სამედიცინო დახმარება და უზრუნველყოს სამედიცინო დახმარების დროული გამოძახება. ექიმის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას.

ხარვეზი : ექიმის კაბინეტი არ არის აღჭურვილი შირმით

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად, უზრუნველყოფს ექიმის კაბინეტის შირმით აღჭურვას.

შესრულების ვადა- 30.01.2025

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია მეტწილად

3. სკოლის შინაგანაწესის თანახმად, სკოლაში რეგულირდება უცხო პირთა შესვლა. სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას, უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ უფლებამოსილ პირთან ერთად, უზრუნველყოფს სკოლის დარაჯი. სკოლას აქვს საგაკვეთილო პროცესის დროს სართულების მიხედვით შემუშავებული პედაგოგთა მორიგეობის განრიგი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სამოქმედო გეგმით დაცულობის, კეთილგანწყობის, ურთიერთპატივისცემისა და თანამშრომლობის ატმოსფეროს შექმნაზე, პასუხისმგებლობა ეკისრება სკოლის დირექტორს, სამეურვეო საბჭოს, სკოლაში დასაქმებულ პირებს. სკოლაში

მოსწავლეთა ჩართულობით ხორციელდება პროექტები, რაც ხელს უწყობს სასკოლო გარემოში ემოციურ და სოციალურ თვითდამკვიდრებას, ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს შექმნას.

სკოლის დირექტორის განცხადებით, დამრიგებლებმა ჩაატარეს კლასის საათი ბულინგთან დაკავშირებით, სადაც მოსწავლეებს გააცნეს ბულინგის სახეები, მოისმინეს მათი მოსაზრებები ამ თემასთან დაკავშირებით. მოსწავლეთა ფსიქოლოგიური და ემოციური მხარდაჭერის მიზნით სკოლაში (კლასებში) შექმნილია ე.წ ანონიმურ ყუთი, სადაც მოსწავლეებს შეუძლიათ ჩააგდონ მათი მოსაზრებები კონკრეტულ პრობლემებთან დაკავშირებით, რომელთა აღმოფხვრის გზებზეც მაქსიმალურად იმუშავებს კლასის დამრიგებლები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. სკოლას ჰყავს 2 დამლაგებელი, რომლებიც პასუხისმგებლები არიან სკოლაში სანიტარული-ჰიგიენური ნორმების დაცვაზე. ბრძანებით არის განსაზღვრული სკოლის შენობის მოვლა-პატრონობის გეგმა და წესი. სკოლის ექიმი ვალდებულია ზედამხედველობა გაუწიოს სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს პერსონალური ინფორმაციის დაცვის წესი, რომლის თანახმად, სკოლა ინახავს მონაცემებს იმ ვადით, რომელიც აუცილებელია მონაცემთა დამუშავებისთვის კონკრეტული, კანონიერი მიზნის მისაღწევად. მატერიალური ფორმით არსებული დოკუმენტაციის (პირადი საქმეები) შენახვასა და დაცვაზე პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი.

სკოლის დირექტორის 2024 წლის 06 ივნისის N2-19 ბრძანებით, განსაზღვრულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

7. პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესის თანახმად, მატერიალური ფორმით არსებული დოკუმენტაციის (პირადი საქმეები) შენახვასა და დაცვაზე პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი. კომპიუტერები უზრუნველყოფილია ანტივირუსული პროგრამებით, რაც უზრუნველყოფს ელექტრონული ფორმით არსებული ინფორმაციის დაცულობას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

8. სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელიც ახორციელებს ადამიანებისა თუ პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას - ტარდება მრჩეველთა საბჭოს სხდომები, სადაც განიხილება უსაფრთხოების მექანიზმები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- წერილი საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან გეგმის შეთანხმების თაობაზე
- წერილი სამხარაულოს ბიუროს შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების თაობაზე
- სკოლის დირექტორის 2018 წლის 07 ნოემბრის 2-17/ზ ბრძანება
- საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმების ხელშეწყობის ქვეპროგრამის ფარგლებში, სკოლაში დასაქმებულ კარისკაცთან გაფორმებული ხელშეკრულება
- სკოლის დირექტორის 2022 წლის 20 ოქტომბრის N1-54 ბრძანება
- სკოლასა და ექიმს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულება
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მონიტორინგის მექანიზმები
- მასწავლებელთა მორიგეობის განრიგი
- სკოლის დირექტორის 2017 წლის 23 ივნისის N2-21 ბრძანება
- სკოლის დირექტორის 2016 წლის 19 ოქტომბრის N2-45 ბრძანება
- სკოლის დირექტორის 2024 წლის 15 ივნისის N2-29 ბრძანება

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☒ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
5. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. 9152.00 კვ.მ ფართის მიწის ნაკვეთზე განთავსებულია, 846.9 კვ.მ სკოლის შენობა-ნაგებობები. აღნიშნული ფართი სკოლას, არსებობის ვადით, გადაცემული აქვს ქონების მართვის ეროვნული სააგენტოსაგან, სარგებლობის უფლებით. შენობა არის სრულად რეაბილიტირებული. სკოლაში არის 12 საკლასო ოთახი. საკმარისი მერხებითა და სკამებით. სკოლას არ აქვს სააქტო დარბაზი, სპორტული დარბაზი და სპორტული მოედანი. სპორტის გაკვეთილები ტარდება ეზოში ან სკოლის შენობაში. სკოლის ფოიეში განთავსებულია ტენისის მაგიდა. სკოლას აქვს შიდა სველი წერტილები, ბიბლიოთეკა, სამასწავლებლო, რესურსოთახი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლის დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის N2-28 ბრძანებით დამტკიცებულია მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით სარგებლობის წესი. რომელიც უზრუნველყოფს საერთო სარგებლობის სივრცეებისა და მატერიალური რესურსის ხელმისაწვდომობას სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლის დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის N2-28 ბრძანებით დამტკიცებულია მატერიალურ-ტექნიკური რესურსებით, მათ შორის ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, რომლის თანახმად ბიბლიოთეკა ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის. ბიბლიოთეკაში წარმოდგენილია როგორც გრიფინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოები, ასევე მხატვრული ლიტერატურა. ბიბლიოთეკაში წარმოდგენილი წიგნადი ფონდი არ არის დამუშვებული საბიბლიოთეკო სტანდარტის შესაბამისად.

შესაბამისობის გეგმასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა მტკიცებულებები (ბიბლიოთეკარის სამსახურეობირვი ბარათი, წიგნების ფოტოსურათები), რომელიც ადასტურებს, რომ ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. თითოეული მოსწავლე სკოლის მიერ უზრუნველყოფილია ინდივიდუალური სასწავლო ინვენტარით - გამოყოფილია ინდივიდუალური მერხი და სკამი, სასწავლო წიგნები. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ხელმისაწვდომობა მატერიალურ რესურსებზე. სკოლაში ფუნქციონირებს რესურსოთახი.

სკოლა არ არის სრულად ადაპტირებული - მოწყობილია ადაპტირებული სველი წერტილი და პანდუსი. მეორე და მესამე სართულზე არ არის უზრუნველყოფილი შშმ პირების გადაადგილება, ამიტომ რესურს ოთახი, ადაპტირებული საპირფარეო, ბიბლიოთეკა, კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები განთავსებულია პირველ სართულზე.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომლის თანახმად, უზრუნველყოფს სკოლის შენობაში შშმ პირების გადაადგილებას მეორე და მესამე სართულებზე.

შესრულების ვადა - 06.11.2025

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია მეტწილად

5. სკოლას არ აქვს სააქტო დარბაზი, მაგრამ აქვს სარეკრეაციო სივრცე, სადაც ხშირად მასპინძლობს მუნიციპალიტეტის მიერ ჩატარებულ ღონისძიებებს კერძოდ, ზონალურ შეჯიბრებას “რა? სად? როდის?”, ტარდება ზონალური შეხვედრები მასწავლებლებთან, საკლასო კომპიუტერულ სივრცეს იყენებენ ტრენინგებისთვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის N2-28 ბრძანება
- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან
- სკოლის ვიზუალური დათვალიერება

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს 12 კომპიუტერი 24 ლეპტოპი, ოთხი პროექტორი. სამუშაო პროცესში, კომპიუტერით უზრუნველყოფილია დირექტორი, დირექტორის მოადგილე, საქმისმწარმოებელი, ბუღალტერი, ბიბლიოთეკარი. კომპიუტერი ასევე განთავსებულია რესურსოთახში. სკოლაში დამტკიცებულია მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, რომელიც უზრუნველყოფს ადმინისტრაციულ და სასწავლო პროცესში ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობას როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე სკოლაში დასაქმებულ პირთათვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლაში დამტკიცებულია მატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი, რომელიც უზრუნველყოფს ადმინისტრაციულ და სასწავლო პროცესში ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობას როგორც მოსწავლეებისთვის, ასევე სკოლაში დასაქმებულ პირთათვის.

სკოლაში დამტკიცებულია კომპიუტერული ტექნოლოგიებით სარგებლობის წესი, რომელიც უზრუნველყოფს კომპიუტერულ ტექნოლოგიებზე წვდომას მოსწავლეებისთვის და მასწავლებლებისთვის.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დირექტორის 2024 წლის 14 ივნისის N2-28 ბრძანება
- ინვენტარიზაციის ამსახველი დოკუმენტაცია
- სკოლის ვიზუალური დათვალიერება

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის დირექტორის 2024 წლის 10 ივნისის N2-25 ბრძანებით, სკოლაში დამტკიცებულია საქმისწარმოების წესი. სკოლაში საქმისწარმოება ხორციელდება ერთიანი ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემის (Eflow) - საშუალებით და მას ახორციელებს საქმისმწარმოებელი, რომელიც უზრუნველყოფს საქმისწარმოების გამართულ მუშაობას.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლა სარგებლობს დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემით - „eflow”; სკოლას აქვს ოფიციალური ელექტრონული ფოსტა - zemokedi2@mes.gov.ge; სკოლის მონაცემები ასახულია სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემაში - Eschool; იყენებს ელექტრონულ ჟურნალს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლას აქვს საკუთარი პროფილი eschool.emis.ge-ზე. საინფორმაციო ბარათში შეყვანილია სხვადასხვა ინფორმაცია: მისამართი, იურიდიული სტატუსი, საიდენტიფიკაციო კოდი, საგანმანათლებლო სტატუსი, სექტორი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია და სკოლის საბანკო რეკვიზიტები. ასახული ინფორმაცია არჩეული გრიფირებული სახელმძღვანელოების თაობაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლის პირველადი ავტორიზაციაა და მიმდინარე ეტაპზე ინდიკატორი არ ფასდება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *საქმისწარმოების ერთიანი წესი*
- *Eschool -ის ის და Eflow - ვიზუალური დათვალიერება*

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;

5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს ვებ გვერდი და გვერდი სოციალურ ქსელში. ინფორმაციულად დატვირთულია სკოლის გვერდი სოციალურ ქსელში (facebook). გვერდზე გამოქვეყნებულია ინფორმაცია განხორციელებული და დაგეგმილი სასკოლო აქტივობების, სკოლის მოსწავლეთა და პედაგოგთა წარმატებისა და მიღწევების თაობაზე. სკოლის დირექტორის 2024 წლის 23 სექტემბრის N2-63 ბრძანების საფუძველზე, სკოლაში დამტკიცებულია საზოგადოებასთან ურთიერთობის/კომუნიკაციის წესი, რომლის თანახმად სკოლა ვალდებულია საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომი გახადოს საჯარო დოკუმენტები - განათავსოს საინფორმაციო დაფაზე, ატვირთოს სკოლის ვებ გვერდზე).

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლის დირექტორის განცხადებით, თავად უზრუნველყოფს სკოლის სოციალური ქსელის ადმინისტრირებას, ხოლო სკოლის დირექტორის 2024 წლის 23 სექტემბრის N2-57 ბრძანებით, განსაზღვრულია ვებ გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირი. აღნიშნული პირთა მიერ ხდება სკოლის საქმიანობის, მათ შორის, მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელების უზრუნველყოფა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. ვინაიდან სკოლის პირველადი ავტორიზაციაა, ინდიკატორი არ ფასდება.

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი - <https://bit.ly/45uOaEv>, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, სკოლა სწავლებას ახორციელებს ქართულ ენაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. ვებ გვერდზე არ არის განთავსებული სტანდარტით გათვალისწინებული ინფორმაცია სრულყოფილად.

შესაბამისობის გეგმასთან ერთად, სკოლამ წარმოადგინა მტკიცებულება, რომელიც ადასტურებს, რომ ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის გვერდი სოციალურ ქსელში (facebook)
- სკოლის ვებ გვერდი
- დირექტორის 2024 წლის 23 სექტემბრის N2-63 ბრძანება

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა ფინანსდება ვაუჩერული დაფინანსებით, რომელსაც მიმართავს სკოლის საჭიროებებისაკენ. სკოლის ძირითადი ფინანსური რესურსი იხარჯება დასაქმებულთა შრომით ანაზღაურებაზე, ასევე მატერიალური რესურსების შესყიდვაზე, საჭიროებების შესაბამისად ხდება ბიუჯეტის კორექტირება და შესაბამისი ცვლილების პროექტი დასამტკიცებლად წარედგინება სამეურვეო საბჭოს. სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებულია სამოქმედო გეგმით განსაზღვრული აქტივობების უზრუნველყოფა.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლის ბიუჯეტს ამტკიცებს სამეურვეო საბჭო. დირექტორის ბრძანებით დამტკიცებულია შესყიდვების წესი, შესყიდვების გეგმა. განსაზღვრულია ბაზრის კვლევაზე პასუხისმგებელი პირი. სკოლის დირექტორი დეკემბერში ანგარიშით წარდგება სამეურვეო საბჭოს წინაშე. კალენდარული წლის ბოლოს შედგენილია ფინანსური ანგარიშგების დოკუმენტი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის დირექტორის 2023 წლის 17 ნოემბრის N2-47 ბრძანება შესყიდვების გეგმის დამტკიცების თობაზე



- სკოლის დირექტორის 2023 წლის 17 ნოემბრის N2-48 ბრძანება სახელმწიფო შესყიდვების წესისა და შესყიდვების წლიური გეგმის ფორმის დამტკიცების თაობა
- ზედირექტორის ფინანსური ანგარიში 2023 წლის
- 05 დეკემბრის სამეურვეო საბჭოს ოქმი N5
- 2024 წლის დამტკიცებული ბიუჯეტი
- სკოლის დირექტორის 2024 წლის 26 სექტემბრის N2-56 ბრძანება

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი შინაგანაწესი, რომელიც განსაზღვრავს მოსწავლეთა უფლება-მოვალეობებს. მოსწავლეთა კანონიერი უფლებების დაცვა ხორციელდება ნებისმიერ ეტაპზე, ნებისმიერი პირის მიერ. მოსწავლეთა უფლება-მოვალეობები გაწერილია ხელშეკრულებაში, რომელიც ფორმდება სკოლასა და მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს შორის. სკოლაში არსებობს მოსწავლეთა თვითმმართველობა, რომელიც ირჩევა დემოკრატიული პრინციპებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლის შინაგანაწესი, რომელიც საჯარო დოკუმენტია, განთავსებულია სკოლის საინფორმაციო დაფაზე და ხელმისაწვდომია ყველა პირისათვის. თითოეული კლასის დამრიგებელი სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში მოსწავლეებს აცნობს თავიანთ უფლება-მოვალეობებს. სკოლაში, საჯარო ინფორმაციისთვის განკუთვნილ დაფაზე, გამოკრულია 112-ის, სახალხო დამცველის და განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ცხელი ხაზის ნომრები. სკოლას აქვს გვერდი სოციალურ ქსელში (facebook), სადაც აქტიურად ზიარდება ინფორმაცია სასკოლო ცხოვრების შესახებ. სკოლის ყველა მოსწავლის მშობელს/წარმომადგენელს შორის ფორმდება ხელშეკრულებები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება. ხელშეკრულება ძალაშია მოსწავლის სწავლის დასასრულებამდე და მასში გაწერილია როგორც მოსწავლის, ისე მშობლის და სკოლის უფლებები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი

- დისციპლინური კომიტეტის
- მოსწავლეთა თვითმმართველობის დოკუმენტები
- მშობელთან დადებული ხელშეკრულების ნიმუში

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დამლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დამლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დამლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის დირექტორის 2024 წლის 10 ივნისის N2-27 ბრძანებით, სკოლაში დამტკიცებულია სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დამლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი, რომელიც შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. აღნიშნული წესი განსაზღვრავს მოსწავლის სტატუსის მოპოვების, შეჩერების, მობილობის განხორციელების წესებსა და პროცედურებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. ვინაიდან სკოლის პირველადი ავტორიზაციაა, მიმდინარე ეტაპზე ინდიკატორი არ ფასდება.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლის შინაგანაწესი, სასკოლო სასწავლო გეგმა საჯაროდაა გამოკრული სკოლის შენობაში. 2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისად, სკოლის მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით, 2024-2025 სასწავლო წელს, სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს მათემატიკის უფასო ფაკულტატური გაკვეთილებს საჭიროების მიხედვით. სასკოლო სასწავლო გეგმა განთავსებულია საჯარო ინფორმაციისთვის განკუთვნილ დაფაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლისა და მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული. ინფორმაცია გაზიარებულია სკოლის გვერდზე სოციალურ ქსელში (facebook) დამრიგებლის მიერ მშობელთა კრებებზე, მშობლებთან ინდივიდუალურ შეხვედრებზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შინაგანაწესი
- სკოლის დირექტორის 2024 წლის 10 ივნისის N2-27 ბრძანება
- 2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის დირექტორის 2024 წლის 27 ივნისის N2-34 ბრძანებით სკოლაში დამტკიცებულია მოსწავლეთა ადაპტაციის წესი. აღნიშნული წესის თანახმად, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მოსწავლის ინდივიდუალურ თავისებურებებს, მშობლისა და მასწავლებლის როლს. განსაზღვრულია ადაპტაციისა და დეზადაპტაციის ნიშნები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლის პირველადი ავტორიზაცია და მიმდინარე ეტაპზე აღნიშნული ინდიკატორი არ ფასდება.

3. სასკოლო სასწავლო გეგმით გათვალისწინებულია მოსწავლეთათვის სემესტრული გამოცდის ჩაბარების შესაძლებლობა, საშემოდგომო გამოცდის აუცილებლობის შემთხვევაში - მოსწავლეების კონსულტაციებით უზრუნველყოფა. შემაჯამებელი დავალების აღდგენა შესაძლებელია სემესტრის განმავლობაში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

4. სკოლა უწევს ადმინისტრირებას ექსტერნატის ფორმით განათლების მიღებას, ექსტერნის გამოცდებზე დარეგისტრირებულ პირთათვის, აღგენს გამოცდების ჩატარების განრიგს, ქმნის საგამოცდო კომისიას და დამრიგებლების მეშვეობით, ინფორმაციას აწვდის მშობელს აღნიშნულის შესახებ. სკოლაში სსსმ მოსწავლის ჩარიცხვის შემთხვევაში, სკოლა ქმნის ისგ ჯგუფს, ხდება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება.

სკოლაში დირექტორის ბრძანებით გამოყოფილია უფლებამოსილი პირი, რომელმაც უნდა მოახდინოს ძალადობის იდენტიფიცირება და განახორციელოს რეფერალი.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით, უზრუნველყოფს დამატებითი, არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მხარდაჭერას, რაც დასტურდება სკოლაში განხორციელებული პროექტებით.

სკოლა ჩართული იყო დაწყებითი საფეხურის USAID საბაზისო განათლების პროგრამაში და დონორი ორგანიზაციების დახმარებით ახორციელებდა სხვადასხვა აქტივობებს. ადმინისტრაციის მხრიდან სასკოლო საზოგადოებას მასწავლებლებისა და მოსწავლეების ინიციატივებს აქვთ მხარდაჭერა.

სკოლის პედაგოგთა ხელმძღვანელობით, მოსწავლეთა აქტიური ჩართულობით, სკოლაში ხორციელდება სხვადასხვა პროექტი. დირექტორის განცხადებით, სკოლის მდებარეობიდან გამომდინარე, აქტუალურია გარემოსდაცვითი პრობლემები. ამიტომაც სკოლის მისიაც და ხედვაც გარემოსდაცვაზეა ორიენტირებული. აქტივობების უმეტესობა მდგრადი განვითარების მიზნებს ემსახურება. გრძელვადიანი მიზანია სკოლა გახდეს ყველაზე მწვანე სკოლა მუნიციპალიტეტში.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

6. დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას. სკოლამ წარმოადგინა:

- მშობელთა კრების ოქმი, რომლითაც დასტურდება, რომ V კლასში მეორე უცხო ენის არჩევა ხდება მშობელთა სურვილის გათვალისწინებით;
- ოქმები, რომლითაც დასტურდება, რომ საშუალო საფეხურზე არჩევითი საგნის არჩევა, ხდება მოსწავლეთა სურვილის გათვალისწინებით;
- გამოკითხვის ინსტრუმენტები (კითახვარები) მოსწავლეებისა და მშობლებისთვის მოსწავლეების მიერ კომპიუტერული ტექნიკის გამოყენების თაობაზე

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დირექტორის 2024 წლის 27 ივნისის N2-34 ბრძანება
- 2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
- განხორციელებული პროექტების ამსახველი მასალები
- V კლასის მშობელთა კრების ოქმი N2

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით; *(შესაძლოა არ შეივსოს პირველად ავტორიზაციაზე)*
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლაში ხორცილდება პროექტები, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეები ეცნობიან სხვადასხვა პროფესიის სპეციფიკას. დაწყებითი კლასის მოსწავლეების ჩართულობით, მასწავლებელმა განახორციელა პროექტი, რომლის ფარგლებშიც სკოლაში მოიწვიეს სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენლები - ექიმი, მეეზოვე, მეხანძრე, მესაზღვრე. სტუმრებმა ისაუბრეს საკუთარი პროფესიის თაობაზე. ასევე განხორციელდა პროექტი: „ინსტიტუციები და პროფესიები ჩვენს თემში“. მოსწავლეებმა წერილობით გასცეს შეკითხვას პასუხები: რატომ არის საჭირო სხვადასხვა ინსტიტუციები. შეავსეს მაორგანიზებელი ცხრილი მათთვის ნაცნობი ინსტიტუციებით და პროფესიებით, ამ ცხრილის გამოყენებით და „როლური თამაშის“ სახით მოაწყვეს დისკუსია მოსწავლეების მიერ დასახელებული პროფესიის ადამიანებს შორის, იმასთან დაკავშირებით, თუ რომელ მათგანს მოაქვს მეტი სარგებელი საზოგადოებისთვის.

მოსწავლეებმა, პედაგოგების ხელმძღვანელობით:

- გააშენეს ზეთისხილის ბაღი -ზეთისხილის ნერგების დარგვაში მონაწილეობა მიიღო ყველა მოსწავლემ.
- ერთჯერად ჭიქებში დათესეს ფსტა და გადარგეს სკოლის ეზოში. აღმოჩნდა, რომ ფსტას აქვს ძალიან ფაქიზი ფესვთა სისტემა, სულ პატარა გვერდითი ფესვის დაზიანებითაც ვერ გაახარეს. უკეთ გაიხარა ერთ და ორ ფოთოლზე აღმოცენებულმა მცენარეებმა. სამომავლოდ უკვე იციან ბავშვებმა რა ზომის ნერგი უნდა გადაირგოს.

სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეთა ვიზიტს პროფესიულ სასწავლებლებში. სკოლას მიმართავს სხვადასხვა სასწავლო დაწესებულება, საგანმანათლებლო პროგრამების მოსწავლეებისთვის გაცნობის მიზნით. აღნიშნულ ინფორმაციას დამრიგებლები აცნობებენ მოსწავლეებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლის პირველადი ავტორიზაციაა და მიმდინარე ეტაპზე აღნიშნული ინდიკატორი არ ფასდება.

3. სკოლა აგროვებს ინფორმაციას მოსწავლეთა სხვადასხვა უნივერსიტეტებში ჩარიცხვის შესახებ. იწვევს წარმატებულ კურდამთავრებულებს სკოლაში და აორგანიზებს მოსწავლეებთან შეხვედრას. მოსწავლეთა და მშობელთა ინტერესების გათვალისწინებით, ცდილობს დაგეგმოს აქტივობები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლაში განხორციელებული პროექტები

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი - სპეციალური საჭიროების იდენტიფიცირების, ეროვნული სასწავლო გეგმის ადაპტაციის, ისე ჯგუფის შედგენის, სსსმ მოსწავლის შეფასების, შინ სწავლებაზე გადაყვანის მექანიზმები. სკოლამ წარმოადგინა დოკუმენტაცია, რომლითაც დასტურდება, რომ სსსმ მოსწავლისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მიზნით, დირექტორის ბრძანებით, სკოლაში იქმნება ისე ჯგუფი, რომლის წევრები არიან კლასის დამრიგებელი, საგნების მასწავლებლები, სკოლაში ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტი/სპეციალისტები, მშობელი. სკოლაში იქმნება ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა; ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განხორციელების მონიტორინგის მიზნით, დირექტორის ბრძანებით იქმნება ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფი. სკოლაში არის რესურსოთახი რომელიც აღჭურვილია საჭირო ინვენტარით და სასწავლო რესურსებით.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. სკოლაში სსსმ მოსწავლის წინსვლის და განვითარების მიზნით დაგეგმილ აქტივობებში ჩართულია სასკოლო საზოგადოება. სსსმ მოსწავლეები ფასდებიან სამინისტროს მულტიდისციპლინური გუნდის მიერ. სკოლაში იქმნება ისე ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას. ასევე იქმნება ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც ახდენს ინდივიდუალური სასწავლო გეგმის განხორციელების მონიტორინგს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
- სსიპ დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ქედის N2 საჯარო სკოლის ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა
- სკოლის დირექტორის 2024 წლის 23 სექტემბრის N2-59 ბრძანება
- სკოლის დირექტორის 2024 წლის 23 სექტემბრის N2-60 ბრძანება

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. 2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისად, სკოლის მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით, 2024-2025 სასწავლო წელს, სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს მათემატიკის უფასო ფაკულტატურ გაკვეთილებს საჭიროების მიხედვით. გაკვეთილებს ჩაატარებს სკოლის მასწავლებლები.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

2. დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება გათვალისწინებულია 2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმით, რომლიც შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსთან და დამტკიცებულია პედაგოგიური საბჭოს მიერ. მომსახურება განხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით და ორიენტირებული იქნება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობაზე.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

3. სკოლის შინაგანაწესის თანახმად, სკოლის ტერიტორიაზე მყოფი პირები ვალდებულები არიან შეასრულონ უსაფრთხოებისა და შრომის პირობების დაცვის წესები. შესაბამისად, მომსახურება განხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და გაითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორი დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
- შინაგანაწესი

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას - ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები - ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ - ინდიკატორი აკმაყოფილებს სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებს.
